მწყემსი

მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დასდვის ცხოვართათვის. იოან. 10—11.

ჰვოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული, ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. ლუკ. 15—4.

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგიხვენოთ თქვენ. მთ. 11 28.

№ 11 **1883—1898** 15 ივნისი.

ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲤᲐᲡᲘ:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეით . . . 3 მან.	12 თვეით . . . 5 მან.
6 — . . . 2 —	6 — . . . 3 —

ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲬᲔᲠᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲖᲬᲘᲜᲐ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲛ ᲐᲓᲠᲘᲚᲘᲗᲘ:

Въ Квирилы, въ редакцію „Микеми“ и „Пастырь“.

ᲧᲕᲔᲚᲐ ᲡᲢᲐᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲡᲐᲪ ᲘᲛᲘᲜᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲧᲕᲜᲔᲗ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲔᲚ-ᲛᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲡᲐ.

ᲡᲢᲐᲢᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲐᲠ ᲓᲐᲜᲘᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘᲐ, ᲡᲐᲜᲘ ᲗᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲛᲐᲠᲯᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲨᲔᲘᲫᲚᲔᲑᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲮᲐᲠᲯᲘᲗ ᲣᲙᲐᲜᲔᲕ ᲓᲐᲣᲑᲔᲠᲜᲔᲗ

ᲡᲢᲐᲢᲘᲔᲑᲘ ᲛᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲓᲐᲬᲔᲠᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲓᲐ ᲗᲐᲠᲯᲛᲘᲡᲘ ᲓᲐᲜᲘᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ.

ᲑᲐᲡᲘᲚᲘ ᲘᲕᲐᲜᲘᲡ ᲫᲔ ᲨᲘᲛᲘᲐᲙᲘᲜᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲔᲙᲚᲔᲡᲘᲐᲨᲘ.

ᲡᲬᲠᲐᲤᲘ ᲪᲐᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ ᲛᲐᲡ ᲐᲥᲔᲗ, ᲠᲐᲪ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲜᲘᲪᲐ ᲡᲐᲔᲙᲚᲔᲡᲘᲝ-ᲡᲐᲛᲠᲔᲕᲚᲝ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲪᲐᲛᲔᲢᲘ ᲬᲔᲚᲘᲬᲐᲓᲘᲐ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲔᲠᲔ ᲠᲣᲡᲔᲗᲘᲡ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲘᲡ ᲡᲐᲡᲣᲚᲘᲔᲠᲝ ᲬᲝᲛᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲐᲠᲡᲔᲑᲘᲗ ᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲓᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲜᲐᲗᲚᲔᲗ ᲓᲐ ᲒᲠᲜᲔᲑᲘᲗᲘᲡ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲐ ᲨᲔᲐᲥᲪᲚᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘᲗ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲛᲘ ᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲥᲠᲘᲡᲢᲔᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲒᲐᲜ. ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲝᲛᲐᲕᲠᲝᲑᲐ, ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲘᲡᲐᲓᲐᲒᲕᲐᲠᲐᲓ, ᲗᲕᲐᲚᲧᲣᲠᲘ ᲐᲓᲔᲒᲔᲑᲡ ᲩᲕᲔᲜᲘᲡ ᲒᲐ-

ნაპირა ქვეყანას და არა მიმხედველი მისა, რომ ყოველ წლობით ტყობილობს საეკკლესიო-სამრევლო სკოლების მდგომარეობას წლიური ანგარიშებიდან, დრო და დრო გზავნის დანდობილ პირებს ხსენებული სკოლების დასახედავად. ეს პირები ადგილობრივ იკვლევენ სკოლების მდგომარეობას და მათ საჭიროებას. 1895 წლამდე სამრევლო სკოლების ერთად ერთი ერთგული მეთვალყურე მთელს რუსეთის იმპერიაში იყო ბ. ვასილი ივანეს ძე შემიაკინი. 1895 წელში გამოცხადდა უმაღლესად დამტკიცებული წესდებულება სამრევლო სკოლათა გამგეობისა. დაარსდა ახალი წეს-წყობილება ეპარქიის სამოსწავლო რჩევათა მოქმედებისათვის. დაარსდა უმთავრესი სამოსწავლებლო რჩევა უწმ. სინოდთან. ეს რჩევა განაგებს საეკკლესიო სკოლების სამოსწავლებლო ყველა საბჭოების საქმეს იმპერიაში. ყველა ეპარქიალურ რჩევათა და სამრევლო სკოლების მეთვალყურეთა უფროს მეთვალყურედ უმაღლესად დაინიშნა ბ. ვასილ ივანეს ძე შემიაკინი, რომელიც ჯეროვან მეთვალყურეობას უწევს სამრევლო სკოლებს და მათ საბჭოებს მთელს რუსეთში. იგი დაბრძანდება მთელს იმპერიაში და თვალყურს ადევნებს სამრევლო სკოლების მდგომარეობას და მათ მართვა-გამგეობას.

1890 წელში ბ. შემიაკინი პირველად მობრძანდა ჩვენში და მათი წყალობაა, რომ დღეს ჩვენში სამრევლო სკოლებს საერობო ფულებიდან 12,000 მანეთი ეძლევა ყოველ წლობით.

ამა წლის 20 მარტს ბ. შემიაკინი გამობრძანდა პეტერპურგიდან დასავლეთის რუსეთის გუბერნიების სამრევლო სკოლების დასახედავად; აქედან ბ. შემიაკინი გაემგზავრა რომში. აქ მათ ადგილობრივ დაათვალიერეს ფრანგთა სამღვდელოების საეკკლესიო სკოლები და ამ სკოლებში სახმარებელი სახელმძღვანელოები. რომიდან ისევ სამხრეთ რუსეთში გაემგზავრა სამრევლო სკოლების დასახედავად, ხოლო იქედან მობრძანდა ფოთში. აქ მათ დაათვალიერეს ადგილობითი საეკკლესიო სკოლები და მერე ქუთაისში მობრძანდა. აქ იგი დაესწრო ეპარქიალურ რჩევის სხდომას. შემდეგ დაათვალიერა ქ. ქუთაისში არსებული სამრევლო სკოლები. ერთ დღეს თავის ბინაზე მოახდინა კრება, რომელზედაც მიიწვია ზოგიერთი საპატიო პირები, რომელთაც მისცა სხვა-და სხვა დარიგებანი და ღამის მატარებლით გაემგზავრა თფილისს. თფილისში დაათვალიერა სამრევლო სკოლები, ორ-სამ გზით დანიშნა სხდომა სამოსწავლო რჩევისა; ამ კრებაზე წევრებს გარდა დაესწრნენ გარეშე პირნიც. ამ კრებაზე აღძრულ იქმნა სხვა-და სხვა საპატიო კითხვები სამრევლო სასწავლებელთა შესახებ. ხუთი დღის შემდეგ ბ. შემიაკინი რუსეთისკენ გაემგზავრა,

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბ. შემიაკინის ჩვენს ქვეყანაში მოსვლა და მისი რჩევა-დარიგებანი, მიცემულნი სამოსწავლებლო რჩევათადმი სამრევლო სკოლების მართვა-გამგეობის შესახებ, დიდ სარგებლობას მოუტანს საქმეს, თუ ყოველივე რიგიანად იქნა მოყვანილი სისრულეში. ბ. შემიაკინმა ურჩია სასულიერო მთავრობას, რომ მან საექსარხოსოის სამრევლო სკოლებისათვის ოცი ათას მანეთამდე გამოითხოვოს საერობო ფულებიდან. საერო მთავრობაც, მაინცა და მაინც, უარს არ ეუბნება სასულიერო მთავრობას ამ თხოვნაზე. ჩვენი სამრევლო სკოლების დათვალიერების და ამ სკოლების მოწაფეთა გამოცდის დროს ბ. შემიაკინმა შეამჩნია, რომ ქართული ენის შესწავლას და განსაკუთრებით ამ ენაზე ლოცვების შესწავლას ჯეროვანი ყურადღება არა აქვს მიქცეული. „არავინ არ თხოვილობს, ბრძანა ბ. შემიაკინმა, რომ ყმაწვილებმა მარტო სლავიანურ ენაზე შეისწავლონ ლოცვები, და ქართულს ენაზე ლოცვების შესწავლას თავი დაანებონ. უფრო მოსაწონია, როცა ბავშვმა კარგად იცის ლოცვები როგორც თავის სამშობლო ისე სლავიანურ ენებზე. მართებლობას სრულებით არა აქვს სახეში, რომ ქართულად ლოცვების კითხვა და ქართული გალობა მოსპოს. ყოველ ღონის ძიება უნდა იქნეს ხმარებული, რომ ძველებური ეკკლესიური ქართული გალობა და საღმრთო სჯულის სწავლება ჯეროვანად იყოს დადგენილი და წარმატებული“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიერ სამწუხაროდ მიაჩნია ბ. შემიაკინს, რომ სამრევლო სკოლების მასწავლებელთ მოსწავლეები არ დაჰყავთ ეკკლესიაზე წირვა-ლოცვის მოსასმენად ¸ სალმრთო სჯულის სახელ-მძღვანელოებსაც ბევრგან სხვა-და-სხვას ხმარობენ ზოგიერთ ადგილას სალმრთო სჯულის სასწავლო წიგნათ გაუხდიათ ისეთი წიგნები, რომელნიც უწმ. სინოდისგან სალმრთო სჯულის სწავლების დროს დამხმარე წიგნებად არიან მიღებულნი და არა სახელმძღვანელოდ... ბ. შემიაკინმა ბევრი საეჭვო კითხვა განუმარტა როგორც სამრევლო სკოლების სამოსწავლებლო რჩევას, აგრეთვე ხსენებულ სასწავლებელთ გამგეთაც (ეკკლესიების წინამძღვართ), თუ რა დიდი უფლება აქვსთ მათ და როგორ უნდა იქცეოდენ მასწავლებელნიცა. „თუ სასწავლებლის გამგემ, ბრძანა ბ. შემიაკინმა, საბჭოს წარუდგინა მისდამი რწმუნებულ სკოლებში განსაწესებლად მასწავლებლის ადგილზე ისეთი კაცი, რომელსაც აქვს ყოველივე უფლება, რაც კი სამრევლო სკოლის მასწავლებლისგან ითხოვება, საბჭოს ნება არა აქვს, რომ ამ კაცს უარი უთხრას და მის ადგილზე ისეთი ვინმე განაწესოს, რომელსაც სკოლის გამგე ვერ იცნობს. ამასთანავე სამრევლო სკოლის მასწავლებელი ჯეროვანის პატივით უნდა ექცეოდეს სკოლის გამგეს“. ზოგიერთ ადგილას, სამწუხაროდ, სამრევლო სკოლების მასწავლებელნი ურიგოდ ეპყრობიან გამგეთ და სრულებით არ უსმენენ მათ...

ბ. შემიაკინი დიდ სარგებლობას მოელის მასწავლებელთა პედაგოგიურ კურსებისგან, რომელნიც ყოველ წლობით იმართებიან ეპარქიის ქალაქებში. მართლაც რა უნდა ჰქნას საწყალმა მასწავლებელმა მიყრუებულ სოფლებში, ვის დაეკითხოს, რომ რიგიანად მოაწყოს სწავლების საქმე მისდამი რწმუნებულ სკოლაში? მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ კურსების თავის დროზე მოხდენას და მათ ხელმძღვანელობასაც დიდი თავიანობა უნდა. მარტო ის არ კმარა, მასწავლებელმა გზის და ხარჯის ფულები მიიღოს ამ პედაგოგიურ კურსებზე დასწრებისათვის.

ბ. შემიაკინს შეუნიშნავად არ დარჩენია ის გარემოებაც, რომ ქუთაისის გუბერნიაში ადგილობითი მღვდელ-მთავრებს დანიშნულნი არა ჰყავთ სასულიერო წოდების პირნი, რომელთაც თვალყურნი უნდა ადევნონ სალმრთო სჯულის სწავლების საქმეს საერო პირველ დაწყებითი სკოლებში.

ერთი სიტყვით, ბ. შემიაკინის ჩვენში მოსვლას სასარგებლო შედეგი ექნება, თუ მისი რჩევა და დარიგებანი სისრულეში იქნენ მოყვანილნი ვისგანაც ჯერ არს.

დეკ. დ. ღამბაშიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

წელს ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში ოქროს მედლით დაასრულა კურსი ორმა ქართველმა: კონს. მ. ჩარკვიანმა და ბ. გეგელაშვილმა.

—

ქუთაისის სასულიერო ოთხკლასიან სასწავლებელში წელს კურსი დაამთავრა 78 მოწაფემ. მათში 27 ყმაწვილი იქმნა გაგზავნილი ქუთაისის სასულიერო სემინარიის პირველ კლასში.

—

ქუთაისის საფირჩხიის ეკკლესიაზე გადმოყვანილ იქმნა მღვდლად ბლაღოჩინი ჩხარ[illegible] საბლაღოჩინო ოლქისა მ. ივლიანე აბესაძე, ხოლო მის ადგილზე გადაყვანილ იქმნა მღვდელი ლავრენტი ფერაძე.

—

ყოვლად სამღვდელო ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი იმერეთის ეპარქიის ეპისკოპოსად დამტკიცებულ იქმნა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

15 თიბათვეს ტფილისში დაიწყება საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ქართლ-კახეთის საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მასწავლებელთათვის და გათავდება 15 მკათათვეს. საგნები სწავლებისა კურსებზედ იქნება: მეთოდიკა საღმრთო სჯულისა, რუსულისა და ქართულის ენისა, ანგარიშისა და პრაქტიკული მეცადინეობანი საეკკლესიო-სლავიანურს და საეკკლესიო-ქართულს გალობაში. საეპარქიო სამოსწავლო საბჭომ კურსების გამგეობა და მეთაურობა მიანდო ქართლ-კახეთის საეპარქიო სკოლების მეთვალყურეს ბ-ნს ნ. გ. ტატიშვილს, იმის თანა შემწეებად-კი დანიშნულ იქმნენ ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ი. ფერაძე და სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი ბ-ნი ანტონ ნატროშვილი. საეკონომიო ნაწილის გამგედ კი დანიშნულ იქმნა—ადგილობრივის სემინარიის ეკონომი მღვდელი გიორგი ჩაგუნავა. ლექტორებად ჯერხანად დასახელებულნი არიან: რუსულისა და ქართულის ენისა—ბ-ნი ფერაძე, ანგარიშისა—ბ-ნი ნატროშვილი... საეკკლესიო-სლავიანურს გალობას ასწავლის კურსებზედ ტფილისის საეკკლესიო-სამრევლო სკოლების გალობის მასწავლებელი ბ-ნი შარაბიძე და საეკკლესიო ქართულს გალობას-კი — მღვდ. ვასილ კარბელაშვილი. კურსებზედ გამოწვეულია სამოცამდის მასწავლებელი ქალი და კაცი, კურსების გამართვას უნდება სამასი თუმანი, რაიც უკვე გამოგზავნა უწმიდესმა სინოდმა. («ივერია»)

***

საერო განათლების სამინისტრომ შეიწყნარა შუამდგომლობა ქ. ოზურგეთში ვაჟთა პროგიმნაზიის დაარსების შესახებ იმ პირობით, რომ პროგიმნაზიის შესანახ ხარჯის ნახევარი იკისროს ადგილობრივმა საზოგადოებამ. როგორც ვიცით, ოზურგეთმა მომავალ პროგიმნაზიას აღუთქვა უფასო სადგური და მუდამ წელს ფულით დახმარება. ამას გარდა ოზურგეთის მოურავს განზრახვა აქვს მონაწილეობა მიაღებინოს ამ საქმეში სოფლის საზოგადოებათ.

***

ჩვენ მივიღეთ რუსულითგან ნათარგმნი წიგნი „სამღვთო სჯულისა და მცნებათათვის მართლ-მადიდებელ კატეხიზმოს სახელმძღვანელოსამებრ“, დეკ. პეტრე სმირნოვისა, თარგმნილი დეკ. პეტრე კონჭოშვილის მიერ. ძლიერ საინტერესო იყო შეგვეტყო, თუ ვინ არის ეს კონჭოშვილი, ან სად მსახურებს იგი, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შევიტყვეთ. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შეიცავს 151 გვ. და ღირს ექვსი შაური...

***

მივიღეთ აგრეთვე წიგნი «ლექსთა კრება ღლიურ ვარამზე“, თქმული სოგრატ ხუსკივაძისაგან. გასაოცრად იმატა ამ ბოლო დროს ჩვენში «პოეტებმა».

***

მივიღეთ აგრეთვე პატარა წიგნი „ქართული საერო და სასულიერო კილოები“, ისტორიული მიმოხილვა მღვ. პოლ. კარბელაშვილისა. წიგნი სუფთად არის დაბეჭდილი, შესდგება 97 გვერდისაგან და ღირს ათი შაური. წიგნი საინტერესო წასაკითხავია განსაკუთრებით სასულიერო წოდების პირთაგან.

***

სოხუმიდან საქართ. ეგზარხოსს მაღალ-ყოვ. უსამღვდელოესს ფლაბიანესთან თხოვნა იქმნა გაგზავნილი იმის შესახებ, რომ ადგილობრივ საკათედრო ტაძარში ორ კვირაში ერთხელ წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდეს ხოლმე და ქართველ მრევლს მღვდელთ ქართულად გარდაუხადონ ხოლმე ყოველგვარი საეკკლესიო წესიო.(«ც. ფ.»]

***

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო სკოლაში ეგზამენები იქმნება 25 ივნისამდე და ამ დღემდე მიიღება თხოვნები ამ სასწავლებელში შესვლის მსურველთაგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუკეთესო საშუალება მრევლთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

უკანასკნელს წლებში სასულიერო მთავრობა დიდ სამრევლოებში მღვდელ-მოსამსახურეთა რიცხვს უმატებს. მღვდელ-მოსამსახურეთა რიცხვის მომატებას ერთის მხრით ითხოვს მრევლთა სარგებლობა და მეორეს მხრით ის გარემოება, რომ ძლიერ ბევრნი არიან მომზადებულნი სამღვდლოდ. თუმცა სასულიერო მთავრობის ესეთი განკარგულება ხშირად დიდ სამრევლოთა მღვდლებს არ მოსწონთ, მაგრამ მწყემსთა რიცხვის განმრავლებას თან მოსდევს სამრევლოთა ცხოვრების განკარგებაც: მწყემსნი, რომელთაც ნაკლებად ხვდებათ სხვა-და-სხვა საეკკლესიო წესთა აღსრულება, მომეტებულ დროს შოობენ, რომ როგორც წირვა-ლოცვის დროს, ისე ღვთის-მსახურების გარეშე დროს ხალხი დამწყსონ, უფრო მომეტებულ მონაწილეობას იღებენ სკოლების საქმეში, თავისუფლება ეძლევათ კვირა-დღესასწაულ დღეებში ხალხს უკითხონ სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის წიგნები, ამ სახით მწყემსნი უფრო უახლოვდებიან და ეცნობიან სამრევლოთა. მღვდელ-მოსამსახურეთა შტატების გამრავლება აადვილებს აღსარების თქმის საქმესაც: როცა მღვდელს ცოტა მრევლი ჰყავს, იგი აღსარების დროს უფრო გულ დასმით გამოკითხავს თავის სულიერ შვილს მისი სულის მდგომარეობას, ნუგეშს სცემს და შესაფერ დარიგებასაც მისცემს.

მხოლოდ ერთი შეიძლება ითქვას შტატების გამრავლების წინააღმდეგ და სახელდობ ის, რომ იმ კრებულში, სადაც ბევრი მღვდლებია, იბადება უთანხმოება. ძლიერია კაცთა ნათესავის მტერი და ის განსაკუთრებით ცდილობს დანერგოს მტრობა ეკკლესიის მწყემსთა შორის. ხშირად ერთი მწყემსის კეთილი განზრახვა მეორე მის ამხანაგს თავის საწინააღმდეგოდ ეჩვენება და ეს იწვევს მათში შურს და განხეთქილებას.

მაგრამ სამღვდელოდ მომზადებულთ თუ კარგი განათლება ექნათ მიღებული სასულიერო სემინარიებში და მათში მოსპობილ იქნა ერის კაცთა წვრილმანი თავმოყვარება, მაშინ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სულიერ მწყემსთა შორის ყოველივე განხეთქილება და შური მოისპობა, მით უმეტეს რომ ასეთი შური და უთანხმოება მწყემსთა შორის ძლიერ ცუდათ მოქმედებს სამრევლოთა ზედა.

ამ ზემო ნათქვამიდამ ის დასკვნა გამოდის, რომ თუმცა შტატების გამრავლება, თითქო, ერთის მხრით მავნებელია, რადგან ერთ ეკკლესიაში ბევრ მოსამსახურე მწყემსთა შორის იბადება შური და უთანხმოება, მაგრამ მეორეს მხრით შტატების გამრავლება ძლიერ კეთილი საქმეა,

სასიკეთოდ ამ საქმეში ჩვენ ახალი ტაძრების აღშენება მიგვაჩნია სამრევლო ეკკლესიებიდან მოშორებულ სოფლებში და ამ ახალი ეკკლესიებისადმი ცალკე მრევლის მისაკუთრება. ეს უკანასკნელი საშუალება იმით არის კარგი, რომ იგი კრებულთა შორის არ იწვევს არავითარ უთანხმოებას და შურს და არც კრებულთა შემოსავალს ამცირებს.

სამრევლოების გამრავლების საქმეც ხელს უწყობს მწყემსთ, რომ მათ მომეტებული დრო მოახმარონ სიტყვა-ქადაგებას და აღსარების

Digitized by Google

დროს მომეტებული უურადღება მიაქციონ თავიანთ სულიერ შვილთა სულის მდგომარეობას. გარდა ამისა სამრევლოების გამრავლება დიდ საღვთოს ამლევს როგორც მწყემსთ ისე მრევლთ.

თითოეულ დიდ სამრევლოში მოიპოვებიან რამდენიმე ჰირნი, რომელნიც სრულებით მოკლებულნი არიან სულიერი მწყემსის კეთილ ზედგასვლენას. ასეთ ჰირთ განსაკუთრებით ისინი ეკუთვნიან, რომელნიც მოთორებულნი არიან ტაძარზე და ამიტომ მჭირად დაიარებიან ტაძარში, მათ არ ესმისთ სულიერი მწყემსის სიტყვა-მოძღვრება, ნაკლებად ამბობენ ადსარებას და ზიარობენ. გამოცდილება გვიმტკიცებს, რომ ასეთ ჰირთა რიცხვი უფრო მომეტებულია იმ სოფლებში, რომელნიც დაშორებულნი არიან ეკეკლესიებიდან. მრევლი, რომელიც ტაძარში არ დაიარება, წაიკვს უმწყემსოდ დარჩენილ ცხვრებ'; ეკინი მოკლებულნი არიან სიტყვა-ქადაგების მოსმენას როგორც დვთის-მსახურების შესრულების დროს; ისე ამ მსახურების გარეშე დროს. მწყემსი, რომელიც ვალდებულია თვალ-ყური ადევნოს თავის სამრევლოს სარწმუნოებრივ ზნეობრივ მდგომარეობას, ძალიერ ნაკლებად ასრულებს ამ მოვალეობას შორეულ სამრევლოების მცხოვრებთა მეცხვარეობა. ის სოფლებში, რომელნიც დაშორებულნი არიან ტაძრებს, ძალიერ ნაკლებად აწსდგება საეკკლესიო-სამრევლო სკოლა. ერთ-კლასიანი სკოლების გახსნა ამისთანა სოფლებში შეუძლებელი ხდება. როცა სკოლა ახლოს არის, ბუნებამსი ეოველთვის შეუძლიათ ხშირად შეიკრებ მასში და თვალ-ყური ადევნონ სწავლის სქემს, ეს შეუძლებელია მდგომლისათვის, თუ სკოლა შორს არის და სასწავლება ხდება ცხენით მოგზაურობა. თუ მღვდელს თავისი ცხენი ჰყავს, კიდევ კარგი, მაგრამ თუ ქირაობა სჭირდება, რითი იქირაოს, როცა მას საღრმთო სჯულის სწავლებისთვის საეკკლესიო სკოლებში საშრომელი არაფერი ეძლევა? ახალი სამრევლო საეკკლესიო სკოლების გამრავლება კი ძალიერ საჭიროა.

ტაძარი არის ნავთ-საუფელი, რომელიც იფარავს კაცს ურწმუნოებისა და მწვალებლობისაგან. რამდენათაც მომეტებული იქნება ტაძრები, მით უფრო საადვილოა ეკეკლესიის კრებულისათვის მისსიონერული მოღვაწეობა.

მრევლთთვისაც ძალიერ სასარგებლოა, როცა მათ ახლოს აქვსთ ტაძარი და მღვდელიც ახლოს ემოვებათ. იმ სამრევლოებში, სადაც მრევლი 4—5 ვერსზე არის დაშორებული ტაძრიდან, დიდი გაჭირვება ადგება სწავლ კაცს. ვთქვათ ემაწვილი დაბადა, საჭიროა მღვდელის დაბმბვა, რომ სახლი მოაკურთხოს, სანნელოა აერეთვეკ ემაწვილის ტაძარში წაეკვანაც მოსანთლავად და სახიარებლად.

ვთქვათ ვინმე ავად გახდა ოჯახში, საჭიროა მღვდლის მოეკვანა, რომ ავადმყოფი დამოძღვროს და აზიაროს. მახლობელი სამრევლოები ეოველივე ამას ადვილად ასრულებენ, ხოლო შორეული სამრევლოები მღვდლის დამბმბას ხდებენ ერთი დღიდგან "შორე დღისთვის: შეიძლება, კიდეც მორჩესო! ხშირად მღვდელი იმ დროს მოდის, როცა ავადმყოფი ნახეგრობით უკვე გაცივებულია.

მოხსრდილ ჰირთა დასაფლავების დროს გარდაცვალებულთა ნათესავებს სურთ, რომ მიცვალებულს წინ მღვდელი გაუძღვეს. მაგრამ

Digitized by Georgian National Corporation

მორეულ სოფლებში მდგომელი ხშირად არ თანხმდება წასვლას. მიცვალებულს მიუძღვის წინ მთავარ-დიაკონი, ანუ მეფვითნე. მაგრამ ამ ჰირთა მოეკვანისათვისაც საჭიროდ ხდება მისვლა-მოსვლა. ეკლესიური წესების შესრულება საჭიროა მართლ-მადიდებელთა ეკლესიასთან ერთობისათვის. საჭიროა ეს კარგად გავიხსენოთ, სანამ დაგვინებული არ არის!

ეჭვს გარეშეა, რომ ტაძრიდან დაშორებული სოფლების მცხოვრებთ სურთ თავისი საკუთარი ტაძარი იქონიონ. მაგრამ სად ეუძლიანთ საწყლებს ეს ნატვრა თავის თავად აისრულონ? ახალი ტაძრის აშენება საკმაოდ სამძიმო საქმეა: საჭიროა ჯეროვანად განჩინების შედგენა ტაძრის საჭიროების შესახებ, უნდა მოპოებულ იქნეს ეეკლესიის ასაშენებლად ადგილი, საჭიროა ეეკეძის და სარჯთა აღრიცხვის შედგენა; საჭირო ხდება სასულიერო მოაზრებასთან შიწერ-მოწერის გამართვა, უნდა გამოთხოვნილ იქნეს წიგნაკი კეთილ მნებელ შეწირულებათა შესაკრებლად და მრავალი სხვა ამისთანები. ამ საქმეებში გაუნათლებელ კლესებს უნდა დაეხმარონ განათლებულნი პირნი, განსაკუთრებით მრევლის მდგომენი. სწორეთ მწუემსთ ეკუთვნისთ ამ საქმის მოთაობა და წარმოება. დღემდე ამ საქმეში შესაფერ დახმარებას მდგომენი არ უწევენ მრევლო, ვინაიდგან მათ სამრევლო უჩცირდებათ და აქედან მათი შემოსავალიც კლებულობს. მაგრამ იმის გამო რომ ერთსულ სამრევლოებში მდგომელთ-მოსამსახურეთა შტატებს უმატებენ, ახალი ტაძრების აშენება და სამრევლოების გახსნა საჭიროდ ხდება.

ახალი ტაძრები და ახალი შესაფერად მოწყობილნი სკოლები—აი რაა, განსაკუთრებით საჭირო ჩვენთვის და ვინც ამ საქმეს ჯეროვანად წინ წაუძღვება, იგი დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენს ხალხს.

ᲧᲝᲠᲘᲚᲘ ᲠᲘᲓᲐᲮᲓᲝᲛᲐᲜᲗᲐᲜ.

ერთხელ უოველად სამდგელო განსვენებელ გაბრიელ ეპისკოპოსთან მივიდა ერთი მათ მეუფეებსთან დაახლოვებული, და გვკლენიანი სამდგომელო პირი და მოახსენა მემდეგი: «უმჯობესი იქნება, თქენო მეუფებავ, რომ მწუხრის და ცისკრის ლოცვები ჩვენ, სოფლის მდგომელებმა ერთათ ვილოცოთ სოფლის ეკკლესიებშია, რადგან ცისკრის ლოცვაზე სოფლის მცხოვრენი დამეთ მაგრე რიგად ვერ მოდიან, და ვერ ისმენენ, რადგან ცისკარი ადრე, გათენებისას, სრულდებაო?». განსვენებულმა უოველად სამდგომელო გ ბრიელმა ეოტა დადგერების შემდეგ ბრძანა: „ლოცვები ხალხ ს საჭიროებისთვის არის დაწესებული, და თუ კი თქენენ ამას უმჯობესად შოებთ, და ხალხიც ისურვებს, შეგიძლიათ მწუხრის და ცისკრის ლოცვები საღ მოობით ერთად ილოცოთ ისრ, როგორც ქალაქის ზოგიერთს ეკკლესიებში სრულდებაო». მათი მეუფების სიტყვები მაშინვე ელვასავით მოეფინა იმერეთის ეპარქიის სამდგომელოებაში. მას შემდეგ დდემდის იშვიათად გ ეგონებ ოთ ძველ ჩვეულებრივ სასიამოვნო ზარ ებ ს ხმას დ ღეთ, გათენებისას კვ რა-უქ ე დ ეეებში; შაბათს მოდის მდგომელი ეკკლესიაზე წირვის დროზე, მაგრამ შეიძლება ამ დღეს მდგომელმა არც ე სწიროს, თუ რომ მრევლში ახალად მიცვალებული არა ვინა ჰეკვს. ამ დღეს შეა დღის მესამე ანუ მეოთხე საათზე დაარეკვინებს მდგომენეს ზარას, და შეუდგება მწუხრის ლოცვ ს და ზედ მოაბამს ცისკრის ლოცვასაც. ვინ მივა ამ დროს ლოცვის მოსასმენლად ეეკლესიაში? სრულდ ადრავინ. ან კი ვინ უნდა მოვიდეს, როდესაც ხალხი, მ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა კაცნი ტ დედაკაცები მზის დასვლამდის ყველანი მუშაობაში არიან გართულნი. ერთის საათიც ძვირად უფრის მუშა ხელს, და ამიტომ იგი მუშაობას არ მიატოვებს, და ლოცვაზედ არ წავა. მე ბევრჯელ გამიგონია ხალხისაგან საკვედური მდგომლზე: „რისთვის მოგვაგსეს ძველის დროიდან დაწესებული ოავის დროზე ცისკრის ლოცვაო?». ამ საკვედურზე ახალ ნაკურთხი მდგომლები შემდეგ პასუხს იძლევიან: «ჩვენ მოგვრიბასაგან ასრე გვაქვს ბრძანება და კიდეც ასრე სჯობსო". მ გრამ თუ დ უკვირდ ბით ხალხის ცხოვრებას, დავრწმუნდებით, რომ მწუხრის და ცისკრის ლოცვების ერთად შესრულება არ არის რიგიანი. ვინ არ იცის, რომ მუშა ბლეში შაბათობით მუშაობს და კარგად მზის დასვლ ამდის ხელს არ აიღებს მუშაობაზე, და კიდეც რომ ხელი აიღოს, დადღილ დ ფანსული როგორდა მივ ეკლესიაზე ლოცვისთვინ და კიდეც რომ მოვიდეს, განა შესაძლია ორივე ლოცვების ერთად მოსასმენად დადღილი კაცს ფეხზე გ ჩერება? ნ ხვარზე მომეტებული ლოცვებიც რომ გამოტოვოს მდვდელმა, მაშინაც კი ბ უძნელდება დადღილს მსმენელს ორივე ლოცვის ფეხზე გაჩერება. ამიტომ თუ გვინდა, რომ სოფლელი სულ არ გადაეჩვიოს ლოცვების მოსმენას, უმჯობესია ისრე ილოცონ ეს ლოცვ ბ., როგორც დიდის ხნიდ ამ დაწესებულია წმ. მამაოგან: მწუხრის ლოცვა საადამოს ილოცონ და ცისკრის ფილა ბეთენებისას. დილით დასვენებული ბლეში სიხარულით მოვა ტაძარში ცისკრის მოსასმენად. სასურველია, რომ სამდვდელო ბ ამ საგნის შესახებ კარგად მოიფიქროს და სოფლი ხალხის სარწმუნოებისთვის საზარალი ახლად შემოღებული წეს-წყობილება მოსშოს და ძველებულად ილოცოს მწუხრი საღამობით და ცისკარი დილობით.

ძველი მღვდელი.



ქ. უბანი, და სასულიერო კონცერტის გამო.

(წერილი ყაბანიდამ)

დასასრული *).

დიახ, ბატონებო, დროა თვითეულმა ჩვენგანმა შეიგნოს, რომ ძველი „კარ-ჩაკეტილობის" დრო, კარგა ხანია, წავიდა: დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენგან, როგორც ერისგან ისე ბერისგან, სულ სხვას" მოითხოვს, სხვა პირობებში გვაყენებს, და, ვაი მას, ვინც ამ პირობებს ვერ სცნობს და მათდა შესაფერად არ მიმართავს თავის ძალ-ღონეს, თვის მოქმედებას! დროა, ჩვენმა სამღვდელოებამ უკუაგდოს ოჯახური კარ-ჩაკეტილობა, უჩვენოს თავის ოჯახის წევრთ, რომ მათ ოჯახს გარეშეცა აქვთ უფრო დიდი და მრავალ მნიშვნელოვანი საბიელი, რომ ოჯახურ ინტერესებს გარდა არიან კიდეე ისეთი ინტერესები, რომელნიც მთელი წოდების კეთილნებას შეადგენენ და რომელთაგან ზოგიერთი, როგორც მაგალითად, სასულიერო ახალგაზდობის აღზრდა, უფრო ფართო საზოგადო მნიშვნელობასაც არაა მოკლებული... ეს ყველა კარგია, შეიძლება გეიბრძანოთ თქვენ: მაგრამ სადაა საშუალება, რა ღონის-ძიებას უნდა მიმართოს დღევანდელმა სამღვდელოებამ, რომ იმ ძველ სენს თავი დაალწიოს? დიახ, სადაა საშუალება,—აი კითხვა, რომელიც უსათუოდ ებადება თავში ყოველს ჩვენგანს, ვინც კი ჩვენი სასულიერო ოჯახების თანამედროვე მდგომარეობას ჩაუკვირდება და მის ზნეობრივად ამაღლებას, გაუმჯობესებას მოისურვებს! სადაა საშუალება?

ჩვენ არ ვიცით, ამ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა თუ არა რუსეთის სასულიერო წოდება, როდესაც «სასულიერო კონცერტები" შემოიღო, მაგრამ რაც ჩვენ თამამად შეგვიძლია აღვიაროთ, ეს გახლავსთ ის, რომ აღნიშნული ჩვეულება—საქველმოქმედო მიზნით სასულიერო კონცერტების მართვა—ჩვენი სამღვდელოების ოჯახებისთვის ერთს, მართალია, სუსტ, მაგრამ თანამედროვე პირობებში ერთადერთ შესაძლო და ხელ-მისაწვდომ საშუალებათ უნდა ჩაითვალოს აღნიშნულ სენთან საბრძოლველათ. ჩვენ

*) „მწყემსი" № 10, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქ არ გამოუდგებით ყველი ის სასარგებლო შედეგები გამოკვლევებს, რომელიც ყოველთვის თან მიხდეს ხოლმე იმ გვარს საზოგადო დაწესებულებას, როგორიცაა, სხვათა შორის, აღნიშნული სასულიერო კონცერტებიც: ვგონებთ, საკმაო იქნეს მოკლეთ აღნიშნოთ, რომ სასულიერო კონცერტებზე დასწრება ჩვენს სამღვდელო ოჯახების წევრთ რამოდენათმე, ცოტათ თუ ბევრათ მაინც, გაუღვიძებს თვით ცნობიერებას: კონცერტზე მიმავალთ, მათ კარგათ ეცოდინებათ, თუ რა დანიშნულებაც ეძლევა მათს, ბილეთებში გასულს, ხარჯს,—შეიტყობენ და შეიგნებენ, რომ ოჯახს გარდა მათ არა ნაკლებ საზრუნველი საგანი ოჯახს გარეთ—სასწავლებლებში ჰყოლებიათ,—და, თუ ამასთანავე კონცერტს გამოცდილ პირთაგან სასარგებლო წერილების კითხვაც ზედ დაერთო ხოლმე (როგორც ეს თითქმის რუსეთის ყველა ეპარქიებში ჰქონებიათ ჩვეულებათ), მაშინ, დარწმუნებული ვართ, სასულიერო კონცერტების მნიშვნელობა ერთი ათად მოიმატებს, გაძლიერდება,—ამასთანავე, უეცველია, სასულიერო კონცერტზე შეკრებილ წრეში ტრიალი სამღვდელო ოჯახბისა არც მის ზნეობრივ მხარეებისთვისაც დარჩება უფნშველოთ,—უეცველია, ერთ დარბაზში ერთათ შეგროვილი, ერთის მიზნით და შეგნებით გამსჭვალული სასულიერო ოჯახთა წევრნი ერთმანეთის გაცნობას, ერთმანერთთან დაახლოებებას მოისურვებენ, შეეჩვევიან საზოგადოებაში გამოსვლას, საზოგადოებრივს ზრდილობას (რამდენათაც ამის მაგალითს სასულიერო კონცერტზე შეკრებილი საზოგადოება უჩვენებს მათ), თავს პატივს დასდებენ და ამ მხრით საეოფაქცეო იდეალის (მაგალითის) ძებნას იქ აღარ დაიწყებენ, სადაც იგი, კარგი ხანია, შინაარსს მოკლებულია და გამოფუფუული...

მაგრამ, აქ შეიძლება, ბევრი კითხვა დაგვიყენონ: ეგ კარგი—«ტიკს კი ალბობთ, მაგრამ ღვინო სად არისო», ე. ი. სასულიერო კონცერტების გამართვის გვირჩევთ, მაგრამ სადა გვაქვს იგეთი საგალობლები, საეკლესიო კილოები, რომელნიც თანამედროვე საზოგადოების ესტეტიკურს მოთხოვნილებას, გემოვნებას შეესაბამებოდეს და აკმაყოფილებდესო? ამ კითხვას ჩვენც არა ერთხელ და ორჯელ ჩაუფიქრებიავთ და, სხვათა შორის, ამან უფრო გაგვიბედვინა დღეს კალმის ხელში აღება. საქმე იმაში გახლავსთ, რომ სასულიერო-საეკლესიო საგალობლები ოთხ ხმაზე გადაღებული უკვე მოგვეპოება, მაგრამ მის გაგონებას ქართველი კაცი წელიწადში ორჯელ თუ ეღირსება მეტჯელ-ვერა, და ისიც იმ პირობით, რომ, მოსმენის შემდეგ, ხმა ჩაეკმინდოს, რადგან ნება არა აქვს, როგორც ტაძარში ნაგალობებს, საფუძვლიანი კრიტიკა უყოს, ნაკლულოვანებები აღნიშნოს და ღირსებანი აქოს, გამოარკვიოს რომელი ახალი მოტივი უმჯობესი და რომელია მუსიკალურის ღირსებას მოკლებული, რომელი უფრო შეესაბამება ეკკლესიურს დანიშნულებს, ხასიათს და რომელი არა,—ერთი, სიტყვით, ბევრი კიდევ ამისთანა რამეები, რისი გარჩევაც და დაფასება ბეჭდური სიტყვით ჩვეულებრივ პირობებში მოუხერხებელია და თითქმის შეუძლებელიც. (სასულიერო კონცერტები კი, ამ მხრით, კარგ სამსახურს გაუწევენ მათ, ვისაც ჩვენში საეკლესიო გალობის ბედიღმალი აინტერესებს და საზრუნველ საგანს შეადგენს). საგალობლები კი გახლავსთ, მაგრამ საჭიროა მათ უფრო მეტი ალაგი დაეთმოს ჩვენს საეკლესიო პრაქტიკაში... ამ საგალობლების მუსიკალურ ღირსებაზე ჩვენ, ჩვენდა თავათ, მხოლოთ ის გვეთქმის, რომ მათი გავლენა კერძოთ ჩვენზე ძლიერი იყო; დღესაც ამოოუშლელათ ჩაგვრჩენია გულსა და ხსოვნაში ის სასიამოვნო შთაბეჭდილება, რომელიც ჩვენ გამოვცადეთ შარშან წმიდა ნინოობას სიონის საკრებულო ტაძარში, როდესაც ჩვენ ყველა დამსწრე მსმენელებთან ერთათ აღტაცებით ვისმენდით ქალაყათა გუნდის მიერ საუკეთოოთ შესრულებულს: „წმიდაო ღმერთოს“, «შენ-[illegible]-ბელ-ებს“, „ღირს არსს“, «მამამ ჩენენოს“ და სხვ... დიახ დაუვიწყარი იყო ის წუთი! მაგრამ, ესეც რომ არ იყოს, განა თვით ძველებური ჩვენი საეკლესიო მოტივები რათი ჩამოუვარდება ზოგს თანამედროვე ხელოვნურს საგალობლებს. „მამამ ჩვენო“ რა არის, იმერული «მამამ ჩენენო», მ. რაჟდენ ხუნდაძის «სადა კილოზე“ ნაგალობები, და ასე გასინჯეთ, ამ სადა «მამაო ჩვენმაც» კი, წელს ყაზანის სასულიერო აკადემიაში წმ. ნინოობას (14 იანვარს) ქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტუდენთაგან შესრულებულმა, ალტაცებაში მოიყვანა არა ერთი და ორი დამსწრე პირი (რუსები). ამას გარდა, განა არ შეიძლება, რომ ქართულ მოტივეებთან, რუსეთის საეკკლესიო კომპოზიტორების საუკეთესო თხზულებანიც იქნენ ალსრულებული? ეს, არამც თუ შესაძლო, საჭიროც იქნება! დიახ, ბატონებო, „გული გულობდეს“, თორემ საგალობლების საძებრათ შორს წასვლა არ დაგვჭირდება... აქ საქმე ეხლა მხოლოდ საზოგადოების თანაგრძნობაზე და სასულიერო გალობის მცოდნე პირებზე და მასწავლებლებზე ჰკიდია... ამ უკანასკნელთა მონდომებაში და თავ გამოდებაში ჩვენ არც კი ვეჭობთ; ხოლო რაც შეეხება საზოგადოების თანაგრძნობას, ამას ჩვენ მხოლოთ იმისთანა პირებიდან, შეგვიძლია, მოველოდეთ, რომელთაც ქონებრივი შეძლება ნებას აძლევსთ და ისიც მხოლოთ მაშინ, როდესაც თვით ალნიშნული საქმეც ჯეროვანათ იქნება დაყენებული, როდესაც იგი თვით გახდება თანაგრძნობის ღირსი. ყოველ შემთხვევაში ჩვენ სამღვდელოებას მაინც არ უნდა ავიწყდებოდეს ის თვალ-საჩინო გარემოება, რომ საერთოთ ჩვენი თანამედროვე საზოგადოება იმდენათ შეძლებული არაა, რომ მას რაიმე ახალი ხარჯების ტვირთვა მოეთხოვებოდეს და, ამიტომ, თავის მდგომარეობის გაუმჯობესებას ჩვენი სამღვდელოება თავათვე და თავის ქონებიდან უნდა ეცადოს, თავის ჯიბიდან უნდა გაიმეტოს რამოდენიმე წვლილი იგეთი საქველ-მოქმედო საქმისათვის, როგორიცაა ახალ-გაზდობ-ს აღზრდა, სამრევლო და პირველ დაწყებითი შკოლების მასწავლებელ ქალ-ვაჟთა დახმარება, როგორც ეს ჩვენ ყაზანის სამღვდელოების მაგალითიდან დავინახეთ.

ამით ვათავებთ ჩვენს წერილს და ბოდიშს ვიხდით პატივცემულ მკითხველთან, რომ ამაზე უფრო მოკლეთ ვერ შევსძელით ჩვენი აზრის გამოთქმა.

დროებით ჩრდილოელი ს. გ.

1898 წელი. 24 მარტი.
ქ. ყაზანი.

ოჯახის კერა

მამა კაცი და დედაკაცი.

(რუსულიდგან)

III.

გაგრძელება *).

ჭაბუკი ეკკლესიაში.

ეს მესამე თავი—«ჭაბუკი ეკკლესიაში», ჩვენის შეხედულებით, განუსაზღვრელია შინაარსით. «ჭაბუკი ოჯახში“ და ჭაბუკი საქმეზედ“ იმასვე ნიშნავენ, რაც ეს მესამე თავია. ოთხმოცდა თვრამეტი მესედი ქრისტიანობრივ ეკკლესიებში მონათლულან, და თითქმის, ყველა ესენი, იმ ორიოდე პირთ გარდა, რომლებიც უარ ჰყოფენ ქრისტიანობრივ საიდუმლოებას, მაცხოვრის ეკკლესიის წევრნი არიან. შობიდანვე გამხდარან „შვილნი ღვთისანი“ და მემკვიდრენი ზეციური სასუფევლისა. ბევრი ბოროტება წარმომდგარა და წარმოსდგება კიდევაც იმის გამო, რომ სიტყვა «ეკკლესიას» ბევრ ნაირი მნიშვნელობით ხმარობენ. «ეკკლესია» შენობა კი არ არის, სამღვდელოებისა, მღვდლებისა და მონაზონების მიერ აგებული, არამედ მსოფლიო სამწყსო ქრისტესი, და ის სხვა-და-სხვა სახეები მაცხოვრის მოძღვრების შეთვისებისა, რომლებსაც ვხედავთ, ნაწილები არიან ამ ერთი მთელი სამწყსოისა.

მაცხოვარს მხოლოდ ორ ხელ აქვს ნახსენები სიტყვა „ეკკლესია“, როგორც მოგვითხრობენ ოთხივე მახარებელი. მახარებელი მათეც ორჯერ ხმარობს ამ სიტყვას (XVI, 18, XVIII, 17], და მათ შორის ერთხელ ვიწრო აზრით აქვს ნათქვამი, ე. ი. როგორც სამლოცველო მორწმუნეთა. მათეს სახარების მეთვრამეტე თავის მეჩვიდმეტე მუხლში: «ხოლო უკეთუ მათი არა ისმინოს, უთხარ ეკკლესიასა». ეს უკანასკნელი სიტყვა მთელს კრებულს ნიშნავს. მაცხოვარი მხოლოდ იმ სიტყვებში აძლევს სიტყვა «ეკკლესიას» მსოფლიო მნიშვნელობას, რომლებიც მოციქულ პეტრეს უბრძანა: «ამას კლდესა ზედა აღვაშენო ეკკლესია ჩემი“. ამ სიტყვით არ შეგვიძლია ვიგულისხმოთ ესა თუ ის ეკკლესია—კრებული, მით უფრო

*) იხილე „მწყემსი“ № 5—6, 1898 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომისა. ბევრი საუკუნის განმავლობაში აღიარებდა ხალხის წინაშე თავის თავს უცოდველად პაპა; მატყუვრობით იყო თუ სიყალბით, თუ ამაო თავმოყვარეობით, თუ ძლიერებით მან მოიპოვა იმდენი ზედგავლენა, რომ მისი უბადრუკება სიწმიდეთ აღეარებინათ. მე მრწამს მხოლოდ ერთი ეკკლესია, შედგენილი მთელ ქრისტიანე მორწმუნეთაგან, რომლებიც სცხოვრებდენ და სცხოვრებენ დედა მიწის ზურგზედ. საიდუმლოება მაცხოვრის სისხლისა და ხორცის ის არის, რომ მათში ზეგარდმო კურთხევით მთელი მორწმუნენი შეერთდებიან ერთად. მე არ უდებ ამ რჩევას უბადრუკთა, მატყუართა, უმღვთოთა, ცრუთა და ფიცის მტეხელთა. მე არ ვსწერ ამას იმათთვის, ვინც მათი ბიწიერი, გახრწნილი სურვილების აღვირ ამხსნელი სარწმუნოებრივი და ზნეობრივი ჭეშმარიტებანი უარ-ყვეს, და შეიქმნენ ცოდვილნი, როგორც ისავი, რომელმაც ერთ კერძ შეჭამანდში გასცვალა პირველობა. მე არ ვამბობ იმათთვის, ვინც თავიანთი სურვილით უჭირვეულად, ჩაფლულან გასაწყლებულ, გზა დაკარგულ მოთამაშეთა და მენაძლევეთა გუნდში; ან რომლებიც მთლად შეუპყრიათ მომაკვდინებელ, პირუტყულ სურვილს ლოთობისას; ან რომლებიც თავიანთი ნებით ბილწავენ თავიანთ არსებას, სხეულს და მარად ჟამ ცუდი ჰაზრითა და განზრახვით უცქერიან ყოველივე სიმშვენიერეს. მე ვაძლევ ამ რჩევას ყველა იმ ახალ-გაზდებს, რომლებსაც კიდევ შერჩენიათ სულის სიღრმეში ნაპერწკალი იდეალისადმი მისწრაფებისა, ან ვინც ზოგჯერ სცდება კაცობრიული ბუნების სისუსტისა მებრ, მაგრამ ამავე დროს მხურვალე გულით მიისწრაფება მადლისაკენ, კიდევ ითვლება მაცხოვრის მოწაფედ, მისი მხედრობის ჯარის კაცად, მისი მტილის მევენახედ, ერთგულ მონად მისი სახლისა.

სიმართლეს მოკლებულია ის თავის მართლება ვითომც ეკკლესიური მოვალეობის ასრულებაში ხელს გვიშლიდენ ცხოვრების მოთხოვნილებანი. ჩვენ ყველანი გარემოცული ვართ ათას ნაირი მოვალეობით, რომელიც ზრდის და აფართოებს ჩვენი მოქმედების სფერას. უწინარეს იწყებიან პირადი მოთხოვნილებანი, ის სამსახური, რომელიც უნდა გაუწიოთ ჩვენ მომაკვდავ სხეულსა, და უკვდავ სულსა. შემდეგ იწყებიან მოვალეობანი ოჯახისადმი: მშობლებისა და ნათესავებისადმი. აქედან გადადიან მეზობლებზე, მრევლზე, ქალაქზე, გუბერნიაზე, კუთხეზე, ერზე და დაბოლოს, მთელს კაცობრიობაზე. იმ მოხელესაც კი შეუძლია რაღაც საუკუნო ღვაწლი გამოიღოს, რომელიც მხოლოდ უმნიშვნელო ნივთებს სჭედს მთელს სიცოცხლეში გრდემლზე. თვით უმნიშვნელო მოვალეობანი დიდად ხდებიან, ვინაიდგან ზნეობრივად სავალდებულონი არიან. ერთი არაბული თქმულება ამბობს: გულ მოწყალე ალლახმა გაგზავნა მთავარანგელოსი გაბრიელი პირველად სოლომონ დიდთან, რომ გაეფრთხილებინა ის, და ცოდვაში არ ჩაეგდო, და შემდეგ ტვირთისაგან დაქანცული ჭიანჭველის საშველად, რომელიც ტვირთს მოჰყოლოდა ქვეშ. მთავარ-ანგელოზი ორივე საქმეს ერთნაირი ერთგულებითა და ყურადღებით მოეპყრო, ამბობს თქმულება, ვინაიდან უფალმა ორივეს ასრულება უბრძანა“. ნურც ერთი ახალ-გაზდა ნუ ფიქრობს, ვითომც მისი ღვაწლი იმდენად წვრილმანი იყვეს, რომ არც კი ღირდეს შრომად.

„თავდაპირველად პატარა საქმეები აასრულეთ პატიოსნადო, ამბობს სპარსული ანდაზა, და შემდეგ დიდი საქმეები თავის-თავად მოგადგებიან კარზედ და თითონვე გთხოვენ ჩვენც გაგვაკეთეთო“. ამასვე ამბობს ჟორჟ გერბერტი:

„თუ ჩვენ ყოველივე საქმეს ღვთის მიერ დაწესებულად ვსთვლით, მაშინ სამღვთო და წმიდა მოვალეობად მივიჩნევთ ჰუჭყიან საქმეში სამსახურსაც. მაშინ ოთახის დაგვაც დიდ და კეთილ შობილურ საქმედ უჩანს ადამიანს, ვინაიდგან ის დარწმუნებულია, რომ ღვთის მიერ დაწესებულ საქმეს ასრულებს“, და რობერტ ბრაუნინგი: „ღვთის წინაშე ყველა საქმეები თანასწორნი არიან, და ჩვენც, ავნიც და კარგნიც, დიდიდან უკანასწნელამდი მისი მონა და მხედრები ვართ“. თვით მაცხოვარმა ბრძანა: „რომელმან ასვას სასმელი ერთი, წყალი გრილი, სახელისა ჩემისათვის, სასყიდელი მოელოსო“, და „რომელსა უნდეს დიდ ყოფაჲ, იყავნ თქვენდა მსახურ».

მღ. დ. ჩხაიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

† ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე.

„მკვდარ არ არის, ვინც მოკვდეს
და ხალხს შესწიროს დღენია;
მკვდრად იგი თქმული, ვისაც აქ
სახელი არ დარჩენია“.

წარსული მაისის 17 რიცხვს მიიბარა მიწამ ერთი პატიოსანი და ცნობიერი მუშაკი ქალი ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე.—საზოგადოებას მოაკლდა ერთი ფრიად პატიოსანი, უანგარო, შრომის მოყვარე და კეთილი მისწრაფების და ნაყოფის მომტანი ადამიანი. დაკარგვა ისეთი ადამიანისა, რომელსაც ხალხის სამსახური აქვს მიზნად, რომელსაც უნუგეშოთა, უვიცთა, უპატრონოთა და წყვდიადით მოცულ თანამოძმეთა კეთილ გზაზე დაყენება გაუხდია იდეალად და მზად არის „სანთელივითა დაიწვეს, და სხვას კი გზას უნათებდეს“, ასეთი ადამიანის დაკარგვა, ვიმეორებთ, სატირალი და სამწუხაროა არა მხოლოდ მისი მშობლებისა და ნათესავებისათვის, არამედ მთელი იმ საზოგადოებისათვის, რომელსაც იგი, (განსვენებული) ეკუთვნოდა. აი, ასეთ ადამიანზეა ნათქვამი ზემო მოყვანილი ჩვენი პოეტის სიტყვები. განსვენებულს ვერას ოქროს მედლით ჰქონდა შესრულებული ქუთაისის საქალაქო წმიდა ნინოს სასწავლებელი. როგორც განსვენებულის წინად, ისე შემდეგაც ბევრს დაუსრულებია სწავლა ხსენებულს სასწავლებელში ოქროსა და ვეცხლის მედლით, მაგრამ მათში საზოგადოება ვერ ხედავს განსვენებულის ვერას მსგავსებს. სწორეთ ეს არის ყველაზე სამწუხარო, თორემ ბუნების კანონი ყოველთვის ასე ყოფილა და ასე იქნება—ერთი კვდება, მეორე იბადება. ჩვენნაირ სამწუხაროდ გარდაცვალებულთ ეხედავთ და მათ მაგიერებს კი ვეღარ.

1893 წ. განსვენებულის ვერას შრომითა და სხვა მის თანამოაზრე პატიოსან მანდილოსანთა დახმარებით ქ. ქუთაისს ეღირსა საკვირაო სკოლა, რომლის წყალობით არა ერთსა და ორს ბედისაგან დაჩაგრულს მისცემია საშუალება წერა-კითხვის შესწავლისა, და სადაც დღესაც მრავალნი ისეთნი იძენენ სწავლას, რომლის (სკოლის) კეთილდღეობისათვის არავითარ შრომასა და მეცადინეობას არა ჰზოგავდა განსვენებული და კიდევაც შესწირა მას თვისი უკანასკნელი ძალ-ღონე...

გარდა ამისა მე, ამ სტრიქონების დამწერი, ნამდვილი მოწამე ვარ იმისი, რომ განსვენებული გარდა საკვირაო სკოლაში სწავლებისა, უფასოდ სწავლიდა რამდენიმე ყმაწვილს [განურჩევლად სარწმუნოებისა და წოდებისა) წერა-კითხვასა და ანგარიშს, თავისსავე სახლში საღამოობით; აძლევდა აგრეთვე მოსწავლეებს სხვა და სხვა სასწავლო ნივთებს უფასოდ, მიუხედავად იმისა, რომ ქონებრივ საშუალებას თვითონაც მოკლებული იყო. 1896 წ. განსვენებული ვერა დაინიშნა ქუთაისის გაბრიელის საკბარ-ქოო საქალო სასწავლებელში მასწავლებლად. განსვენებულმა თავისი შრომა-ჯაფით ნაშოვნი ფულითთ შესარულებია სწავლა ერთ ძმას ი—ნეს ქუთაისის გიმნაზიაში [რომელიც ეხლა უნივერსიტეტში სწავლობს), ხოლო მეორეს — ვ. ქუთ. სამეფონერო სასწავლებელში. განსვენებული აგერ, თითქმის, ერთი წელია მას აქეთ, რაც ფილტვების ანთებით შეიქნა ავად, ექიმები სწამლობდენ, მარა, სამწუხაროდ, ამაოდ: ულმობელმა სენმა—ჟლერქმა მაინც გამოგვგლეჯა იგი ხელიდან უდროოდ. თუმცა განსვენებული ნორჩი, ახლად გაფურჩქნილი ყვავილი იყო, რომლისაგან კიდევ ბევრ კეთილ ნაყოფს მოველოდით, როგორც ეს მოსალოდნელი იყო, მარა თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ განსვენებულმა საკმაოდ იმოღვაწა და საკმაოდ მიუწყო ხალხს ის, რაიც გადმოცემული ჰქონდა მისაწყავად და შემეძლენი სწავლა ზოგიერთებსავით არ დაუმარხავს...

გტერის შენ შენი დედა და ძმები და მასთან გლოვობს შენს უდროოდ დაკარგვას შენი ამხანაგები, შენ, პატიოსანო, უწყინარო, სათნოებით სავსე, ძვირფასო ვერა!.. შენ მოკვდი, მოსცილდი ჩვენს ერს, ჩვენს ქვეყანას და იმ კუთხეს, სადაც «სამკალი ფრიად არს, ხოლო მომკალი მცირენ», მაგრამ შენი კეთილი საქმენი და ხსოვნა დაუვიწყარ იქნება შენს ამხანაგებსა და მოსწავლეთა შორის...

საუკეთოდ იყოს შენი ხსენება, თავის თავის უარმყოფელო, სხვების გზის მაჩვენებელო, კეთილო ადამიანო, ვერა!..

ბარნაბოზმე კალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საისტორიო მასალა

საქართველოის

ძველი დროის თავგადასავალი.

გაგრძელება *.

აქა რუსუდან მეფისაგან წარვლენა წინაშე სიძისა თვისა ძმისწულისა თვისისა ლაშა გიორგის მეფის ძის დავითისა მოკვლად მისა, მაგრამ სალმრთოსა განგებითა მან იგი დავით არა მოკლა, არამედ პატივ სცა დიდად და უყვარდა.

გამოხდა ჟამი არ დიდი რუსუდან იყო შვებასა,
ლაშას ძე დავით პყრობილ ჰყო უპირებს დიდსა ვნებასა,
თვისსა სიძესა მისწერა სულტანსა გკადრებ ქებასა,
გთხოვ ესე ჩემი ძმისწული დავით სცე სახმილ-გზებასა.
მან პატივი სცა მეფის ძეს ვით მეფის გვართა წესია,
თვის ცოლ თამართან ამყოფა, ნუ გეშინ, ნულარ კვნესია,
ვიცი მამიდა რუსუდან შურით გიკვესა კვესია,
ეშმაკის რჩევას ყურს უგდებს არს მათგან განაწესია.

აქა კვალად სულტან ჯალალდინის შემოსვლა ავანგ ათაბაგის დაბარება და რუსუდანის თავის ცოლად თხოვნა და რუსუდანის დიდი უარი და მისგან საქართველოს აოხრება და სიონის ღვთის-მშობლის შეურაცხება.

მოვიდა კვალად ჯალალდინ არს ათაბაგის მხმობია,
ეტყვის ათაბაგს ირწმუნე არა ვარ თქვენი მგმობია,
წადი და უთხარ რუსუდანს ჩემდ იქმნეს შენამტკბობია,
შემომიერთდეს შემიტკბოს ვიქმნები თქვენი მტრფობია.
თუ არ ინებებს რუსუდან აღმოვფხვრავ ქართლსა სრულობით,
რაც ხატ-ჯვარი გაქვსთ ყოველი მარგალიტ ოქროთ მკულობით,
სრულად შევმუსრავ საყდართა ვყოფ ნაქცევ შემუსვრილობით,
სჯობს რომ დაბნებდეს არა ჰყოს ქართველნი ჩემგან კრულობით.
ათაბაგმან რქვა რუსუდანს ყოველი სულტნის თქმულები,
არცა თუ ესმნეს რუსუდანს სულტნისა შენათვლილები,
მცნობმან ჯალალდინ უარის მეფისგან დანაპირები,
მოადგა სომხითს აოხრა ქართლი ჰყო შენამჭივრები.
ტფილისს მოადგა აიღო ჰყო სრულად ოხრებულია,
სიონს გუმბათი ურღვია, ჰყო ზედ კათედრა დგმულია,
აიღო ხატი ღვთის-მშობლის ხიდზე ჰყო დადებულია,
გამვლელ-გამომვლელს უბრძანა ყოვლმა ჰყავთ ნერწყვებულია.
მაშინ ეწამნენ მრავალნი ქართველთა ერთა დასები,
სომეხნი ერთ პირხმობილნი ქრისტესთვის ორ გზის ასები,
მას ჟამს თათართა მოყვანდათ ტყვეთ ქართველთ ყმაწვილ ხასები,
ხოცდენ, სისხლი სდის ქართველთა თავი სჭრეს ათ ათასები.
მოსტყვევნა ქართლი, კახეთი, სომხითი გაახრა მან,
მეფემ ქუთაისს მყოფელმან ღმერთი არ მოიგონა მან,
ჯალალდინ უკან გაბრუნდა ტფილისი სისხლით ბანა მან,
ვინც ღმერთსა სძულობს, იცოდეს მყის რისხვა მოუვლინამან.

აქა სიბოროტით ბორგებულმან რუსუდან ქუთაის მყოფელმან მისწერა სიძესა თვისსა ყიასდინს და ამცნო ვითარმედ ძმისწული ჩემი დავით ეწყობის ასულსა ჩემსა თამარს ცოლსა შენსა და ვითარ არა გრცხვენის ჰო[illegible]მური ბოროტი და ეშმაკისა მანქანება.

ჰსწერს მეფე ქართველთ რუსუდან სულტანს ყიასდინ სიძესა,
ვით არა გრცხვენის ძმისწული ჩემი შენს ცოლთან ზმიდესა,
მასთან ექცევის გულის თქმით შენ კაცად არვინ გხმიდესა,
მოკალ ეგ დავით რად გინდა შენსა სულტნობას სვრიდესა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსმენი ყიასიდან სულტანი მეთხუველი ამა წიგნისა
განრისხდა, ცოლსა მოუხმო ვიცი საქმე გიცს ფლი-
დისა,
რაც მზითვად აქენდა თამარსა ხატნი და ჯვარნი
წმიდისა,
სრულად შემესრნა ამტკვრია ღვთის შიშსა არა რი-
დისა,
თამარს ცოცხით ჰსცა უწყალოდ აწ გმეო შენი
რჯულია,
მყის აგმობინა ქრისტეჰ იქმნა სულითა კრულია,
დავით ლაშასძე ზღვას შერთო ეგონა მისთვის ლუ-
ლია,
ღადმან კიდურ განაგდო, უშთომლად შერჩა
სულია.
კიდურსა ზღვისას გააგდო ღმერთი აწუ ექმნა
მშველელად,
დავით ვაჟარმან იპოვა იყო მის გამო მპოველად,
შინ წარიყვანა ვაჟარმან არვისად შესატყობელად,
მაგრამ სცნა კვალად სულტანმან მას ზედ შეიქმნა
მძლეველად.
დავით წაართო სულტანმან ვაჟარსა ზემო-
თქმულსადა,
მღვიმესა ღრმასა შთააგდო ჰყოფს რუსეფდანს ქმნუ-
ლსადა,
გველ ღრიანკელთა შესაქმლად კართა უყოფდა
ხმულსადა,
იმა ყმაწვილსა საბრალოს ღმერთი უდგემდა სულ-
სადა.
მას ყრმასა შვიდის წლისასა აქვს ხატი ყოველად
წმიდისა,
მას ევედრება გულმდულრით ქებასა შეასხმიდისა,
ეგრეთვე ერთი მონაჲ დღიერ პუოს მიართმიდისა,
შესტირის ქალწულს მარიამს ევედრებით შეფრფვი-
ნიდისა.

აქა მოსცალ ოთხთა ნიონთა, რომელიცა ზემო ვახსენეთ და
მათგან დაპყრობა სრულად ქართლისა და კახეთისა და ოთხ
ნაწილად გაყოფა ბრძანებეთ ჩინგის ყეენისათა.

მომართეს ქართლის სამზღვარსა ოთხთა სარ-
დალთა ნიონთა
პირველ ჯალალდინს ეკვეთნენ ძლიერ შემუსრეს
ნიონთა,
მერმე მოვიდნენ ტფილისსა ქართლი დაიპყრეს ნი-
ონთა,
ქართველთ სიმაგრეს მიმართეს ბრძოლა ეცნ ჭალ-
რეს ნიონთა.
იგი სარდალნი ნიონი კაცობით იყვნენ ქე-
ბულნი,
მხნენი მამაცად მებრძოლნი ჭკუა ცნობითა ვსე-
ბულნი,
ქართველნი სრულად შერიგდნენ არა ვინა ჰყეფს
ენებულნი,
მოწყალედ იყვნენ ყოველთვის სცხოვრებდნენ ვა-
ხარებულნი.
მეფე რუსუდან ქუთაის იყო მალულად ქცევითა,
მანცა უგზავნა დესპანი მყავითო შერიგებითა,
ჩემი ძე ნარინ მეფედ ჰყავთ მეცა მაცხოვრეთ შვე-
ბითა,
ამისი მსმენნი ნიონნი შეიქმნენ გახარებითა,
რუსუდან ძესა უბრძანა, წადიო ნიონთ წინარე,
ფიცით მაჯერეს გულიდა არვინ არს შენი მწყინარე,
წარმოეგებოთ დავით და ნიონნი დახვდეს მეინარე,
დიდდა პატივ სცეს, შეფიცეს ჩვენ არ ვართ შენი
მკბინარე.

აქა ნიონთაგან ნარინ დავითის მანუგ ყეენის წინაშე წარგ-
ზავნა.

მათ ნიონთ დავით წარგზავნეს ყეენს აცნობეს
წიგნითა,
ამას აღუთქვით მეფობა ფიცით და ჩვენის პირითა,
აწ თქვენ გასინჯეთ ყეენლი, თქვენ ჰყავით დანაპი-
რითა,
მივიდა დავით ქართველთითო გულითა შენამტკივრითა.
მანუგ სცა დიდი პატივი, ყეენმან სახელდე-
ბულმან,
მოწყალე იქმნა ქართველთზე მძლედ მტერნი ამაღ-
ლებულმან,
დავით მიეცა ნუგეში პირველ ღონითა კლებულმან,
მანუგ აღუთქვა მეფობა დროზედ გცეს განლაღე-
ბულმან.
რუსუდანს ეგო პასუხი ძმისწულის შეპირებისა,
თვისს შვილისა გაგზავნა რა სცნო, ძალი ხვდა
კლებისა,
ნაცვალი ღმერთმან მიაგო, ჭირი სცა სნეულებისა,
გარდაიცვალა რუსუდან, არვინ არს მთქმელი ქებისა.

აქა რუსუდანის გარდაცვალება თავისის ძის ნარინ დავითის
ყეენთან გაგზავნის მიზეზისათვის ჯავრით დასნეულდა და
მოკვდა.

როს მოკვდა მეფე რუსუდან, ქართველნი ძლიერ
ზრუნვიდენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმკვიდროდ დაშთა ქვეყანა, უმეტეს ამას ჰმუნვიდენ,
ლაშას ძე დაკარგულ იყო, ნიონთ ბრძანებას ისმიდენ,
ნარინ ყეენთან ცხოვრებდა უმეფოთ ქართველთ ჰმუნვიდენ
არ გაამეფა ყეენმან რუსუდან მეფის ძეოდა,
ოთხნი ნიონნი მთავრობდენ, დაეცა ქართველთ სვეოდა,
ჰხარკსა ართმევდენ ქართველთა წარხდა ივერთა მზეოდა,
ჯარად გაჰყვანდათ ქართველნი გულლბილნი ეგრეთ მხნეოდა.
შეწუხდნენ გიორგიელნი ნიონთგან შეჭირვებითა,
მსახურებდიან, ჰყმობდიან მათითა დარიგებითა,
ბოლოს ქართველთა რჩევა ჰქმნეს ღვთის-მშობლის შევედრებითა,
ჰსძებნეს ლაშას ძე დავით და სცნეს მღვიმის პატიმრებითა.

აქა ვაჭრისა მოსვლა.

მოვიდა იგი ვაჭარი ლაშას ძის ზღვასა მპოვნელი,
ცოცხალ არისო ქართველნო თქვენი მემკვიდრე მპყრობელი,
მე ვპოვე იგი ზღვის კიდეს სულტანი მექმნა მსობელი,
წამართო დავით მღვიმესა შთააგდო უკურნებელი.
აწ დავით არის მღვიმესა სულტნისგან შეპყრობილია,
სულტანს ჰგონია მოკვდავო მაგრამ ღვთით ცოცხლებულია,
ქართველთა ამის მსმენელთა შეუდგათ სიხარულია,
მყისვე მივიდნენ ნიონთთან სიტყვა რქვეს ხშირებულია.
ჩვენ მოგახსენებთ ქართველნი ერთობით აქა ყრილობით,
ჩვენი მემკვიდრე მეფის ძე დავით ჩვენგანვე ზრდილობით,
სულტანს ტყვედ უზის მღვიმესა რუსუდანისა ქმნილობით,
მისწერეთ სულტანს მოცაგვცეს არ შეგვქმნას აცაშლილობით.

აქა ნიონთაგან სულტნისა წიგნის მიწერა და დავით ლაშას მეფის მის თხოვნა.

განჰკვირდნენ იგი ნიონნი რუსუდან მეფის ქმნასადა,
მყისვე მისწერეს ნიონთა სულტანს უზემდენ თქმასადა,
წარმოავლინე მყის დავით მღვიმეს რომ გიზის ვინსადა,
არ ისმენ მყისვე მოივლენ ჩვენსა უძლეველ ხმალსადა.
რა ესმა სულტანს ყიასდინს შეიპყრა განცვიფრებამან,
ნუ თუ ცოცხალ არს დავით და აცვიფრა განკვირვებამან,
ნახეს მღვიმესა ცოცხლებდა დაიცვა ღვთისა ნებამან,
ხუთ წელ გველთა თან ცხოვრებდა ვერ ავნეს მათმან კბენამან.
თუ კაცსა ღმერთი ახსოვდეს აქვნდეს მისდამი გონება,
ჵე ღმერთო მიხსენ ცოდვილი მაქვს გულით შენი მონება,
არა გასწირავს მას ღმერთი რაც შეემთხვიოს მას ვნება,
ღმერთი არა გრწამს წარგიხდეს სიმდიდრე ყოვლი ქონება.

აქა დავითის აღმოყვანება სულტნის ყიასდინისაგან მღვიმით.

აღმოიყვანეს დავითდა სახითა ვითა სნეული,
ხუთ წელ მგდებარე მღვიმესა კნინ სიმრთელითა სვრეული,
რუსუდან მეფის სიტყვითა მისის ენითა ძლეული,
აბანეს კარგსა აბანოს იყო ვით გარდარეული.
თვესა ერთსა პატივითა სულტანი ჰყოფს შენახულსა,
სამეფოსა სამოსელსა შემოსდიან შეცა-მკულსა,
მას მოეცა გონებანი პატიმრობით დაკარგულსა,
მადლობს ღმერთსა სიცოცხლისთვის ავედრებდა კვალად სულსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქა დავით მეფის ლაშას ძის მოსვლა ოთხთა მათ ნიონთა თანა და მათ ნიონთაგან დავითისაც წარგზავნა მანუგ ყეენისა წინაშე.

წარმოიყვანეს ლაშას ძე დავით სიბრძნითა ვსებული,
ქართველნი წინა მიმგებენი არიან მყისად ხლებული,
მსწრაფლად უმზადეს სამეფოდ სრა დიდ ჰყვეს განშვენებული,
ნიონთა ნახეს პატივ-სცეს ჰყვეს დიდად განსვენებული.
ვერცა დავითს სცეს მეფობა ნიონთა განწყესებულთა,
იგიც წარგზავნეს ყეენთან მათ ყოლე სიბრძნით ვსებულთა,
ქართველთა პმუნვა შეუდგეთ უმეფოდ გაპირვებულთა,
დავით ყეენთან მივიდა მის ტახტთა ამაღლებულთა.
მანუგ ყეენმან პატივი სცა დავით ლაშას ძესადა,
იყვარა მეფის ძე დავით უმეტეს ნარინს ზედ სადა,
მამაცსა ლაშას ძეს დავითს ბეტობით სხვათა მხნესადა,
ორნივ დავითნნი ყეენსა მუნ ახლდნენ უხვსა მძღესადა.
მანუგ ყეენსა ორი ძე ჰყვა ფრიად საყვარელია,
ყუბულ უფროსი ულუმცა უნცროსად სასუფველია,
ეს ძმები მეფის შვილები ურთერთის მოყვარულია,
ყეენმან მანუგ უბრძანა უნცროს ძეს საქმე სრულია.
ამხედრდი წადი ჯარითა ბაღდადი მოვლე სრულებით,
ზემი ურჩ ქმნილი ყველაჲ ჰყვითი ერთობ კრულობით,
ისმინა მყისად ბრძანება სვლად ჰყოფს ჯარს დარაზმულობით,
იახლენ რაზმი ყოლითგან მშვენიერ აღკაზმულობით.

აქა მანუგ ყეენისგან ძისა თვისისა ულუმისა წარგზავნეს ბაღდადსა ზედა დიდის ჯარითა მის ულუმისაგ.ნ ბაღდადის აღება იქიდამ ბიბრუნება ქართლს აღრაბაგანს დაჯდომა და ოთხთა ნიონთა წილ თვით დაუწყო გაგება და ეგრეთვე საკართველოსაცა.

წარმოემართა მოვიდა აოხრა ბაღდათთ მზღუარია,
მინდორი სპათა ხელთ ეპყრათ ეგრეთ კლდე ტყენი გორია,
მობრუნდა გამარჯვებული ტკბილ ენა მოუბარია,
ულუმ გასცემდა წყალობას ახლოს დვინც-ჰყვა შორია.
მოვიდა ქართლის სამზღვარსა ადგილსა აღრაბაგანსა,
იგი ნიონნი მყის იქმნენ მის წინა მიგებებასა,
სრულად ქართველნი ეგრეთვე ჰყოფენ მათთანა ხლებასა,
ულუმ ქართველთა პატივ-სცა მიეცნენ გახარებასა.
მოვიდა ულუმ და დაჯდა ტახტი მიიღო სვიანად,
ნიონნი უკუ აყენა თვით იქმნა განგებიანად,
დალოცეს ყოველთა მორჩილთა ხარმცაო კეთილ გზიანად,
ქართველნი უპატრონონრი მას ემონებენ ჭკვიანად.
ქართველთა მეფის შვილები მანუგთან იყოფებიან,
თუმცა ყეენი წყალობდათ მაშინცა პმუნვარებდიან,
დავით პირველი ლაშას ძე და დავით ნარინ ებდიან,
ორნივე ერთად მოწყენთი ურთი-ერთს შესტირებდიან.

შინაარსი:

სალიტერატურო განყოფილება: ვასილი ივანეს ძე შემიაკინი საქართველოს საეკლესიოსა შეკრებილი ახალი ამბები და შენიშვნები.—სუკეთესო საშუალება მრველთა ცხოვრების გასაუმჯობესებლად.—ქ. ყაზანი და სასულიერო კონცერტის გამო.—ოჯახის კერა, მამაკაცი და დედაკაცი.—ვერა ილარიონის ასული ჯაფარიძე (ნეკროლოგი).—წერილი რედაქტორთან.—საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი, საისტორიო მასალა.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. **დ. ღამბაშიძე.** Редакторъ-Издатель **П. Д. Гамбашидзе.**

Дозволено цензурою, Тифлисъ, 14 іюня 1898 г. ✦ Цензоръ прот. Е. Елiевъ.

Типог. редакціи журн. „Пастырь" (П. Д. Гамбашидзе) въ Кутаисѣ, въ д. бр. Хананповыхъ, на Нѣмецкой ул.